ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 იანვარი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 18 (9679) ◎ ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



თბილისში დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტთა ერთი ოთხეულის შეხვედრები. ამ ფოტოზე აღბეჭდილია თბილისის „დინამოსა" და რიგის ვეფ-ის შეხვედრის მომენტი. მატჩი, როგორც ცნობილია, ჩვენმა კალათბურთელებმა მოიგეს. ტურნირისადმი მიძღვნილი მასალები იხ. მე-3 გვ.

## ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა ტურნირის მონაწილენი

# ქეთევან არახამია

**ბოლო** სამი წლის განმავლობაში ქეთევან არახამიამ არაერთ შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწია.

პრეტენდენტთა ტურნირში იგი ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა (დაიბადა 1968 წლის 19 ივლისს) და ასეთი დონის ასპარეზობაში პირველად თამაშობს.

ქეთევანს ალბათ სამუდამოდ დაამახსოვრდება 1985 წელი. ამ სეზონის შემდეგ იგი უკვე ცნობილი, პოპულარული მოჭადრაკე გახდა. ჯერ იყო და, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა გოგონათა შორის, შემდეგ კი ყველა გააოცა საქართველოს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. ამ შეჯიბრების შედეგების გახსენებაც საკმარისია — 17 წლის არახამიამ 12 თამაშიდან 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და გაასწრო ახმილოვსკაიას (8,5 ქულა), იოსელიანსა და ლევიტინას (8–8). ეს მხოლოდ დიდი ნიჭის მოჭადრაკეს შეეძლო გაეკეთებინა. თითქმის შეუსვენებლად, არახამია იუგოსლავიაში გაემგზავრა, სადაც 13 შესაძლებლიდან 12,5 (!) ქულით მსოფლიო ჩემპიონი გახდა გოგონათა შორის. არც მანამდე, არც მას შემდეგ ასეთი შედეგი გოგონათა მსოფლიო პირველობებზე არავის ჰქონია.



1986 წელს ქართველმა მოჭადრაკემ II–III ადგილები გაიყო ქალთა საკავშირო ჩემპიონატში. 1987 წლის მაისში საქართველოს მორიგი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. აქ ქეთევანმა 11 პარტიიდან 9 მოიგო, 1 ყაიმით დაამთავრა, 1 წააგო და 9,5 ქულ-

იხ. მე-3 გვ.

# თბილისის „დინამოს" საკონტროლო მატჩები

**შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში სეზონისწინა მზადებას გადიან ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები, უკვე დაიწყო საკონტროლო შეხვედრები.**

**თბილისის** დინამოელებმა ამ დღეებში ორი საწვრთნელი მატჩი გამართეს. პირველად ისინი ცსკა-ს შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. სამივე ბურთი გურულმა გაიტანა.

ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **გაბელია, მიქაბერიძე (ფირცხალავა), ჰედია, ცხადაძე, არზიანი, სვანაძე, ფანცულაია, ცვეიბა, ტყებუჩავა (კორღალიძე), გურული, მესხი (ქეცბაია).**

რედაქციამ საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოდან მეორე ცნობაც მიიღო თბილისის „დინამოსა" და ოდესის „ჩერნომორეცის" საკონტროლო მატჩის შესახებ. დინამოელებმა ეს თამაშიც მოიგეს — 2:0, ორივე ბურთი კვლავ გურულმა გაიტანა.

თბილისის „დინამოს" შემადგენლობა: **გაბელია, მიქაბერიძე, ცვეიბა, სვანაძე, არზიანი, კორღალიძე, ჰედია, ტყებუჩავა, აჯოევი, გურული, ქეცბაია.**

**გთავაზობთ** რამდენიმე სხვა საკონტროლო მატჩის შედეგსაც: „ტორპედო" (მოსკოვი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 0:0, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:0, „ტორპედო" (მოსკოვი) — ცსკა 0:0, „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 3:1.

## გუშინ...

**სპორტის სასახლეში ჩატარდა კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ტურის ბოლო ორი მატჩი: ცსკა — ვეფ (რიგა) 102:96 (54:42), „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) 101:98 (53:52).**

●●●●●●●●●●●●●●

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისში, კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე დღეს იწყება ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში. მონაწილეობენ: ლოძის, ბრატისლავას, მოსკოვის, ერევნის, ბაქოს და თბილისის უნივერსიტეტების, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი კალათბურთელები. დასაწყისი 14 საათზე. ასპარეზობა საზეიმოდ გაიხსნება ხვალ, 27 იანვარს, 18 საათზე.**

### სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

# თურმე საქმე საგანგაშოდ გვქონია...

**გასულ კვირას, თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა საბჭოთა კავშირის 57-ე ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. 10 წონით კატეგორიაში გათამაშებული ჩემპიონის ოქროს მედლები მათმა ბედნიერმა მფლობელებმა თავიანთ ქალაქებში წაიღეს, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქებში....**

**რაზეც უნდა ვილაპარაკოთ ჩემპიონატის ირგვლივ, ჩვენი გულშემატკივრებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხი მაინც საქართველოს გუნდის შედეგებია, განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ წინა ჩემპიონატების დარად ახლაც ოქროს მედლის გარეშე დავრჩით. ისიც სად, საკუთარ სარბიელზე...**

ჩვენი ყველაზე დიდი იმედი, რასაკვირველია, მსოფლიოს გასული წლის ჩემპიონი გურამ გედეხაური იყო, რომელმაც საბოლოოდ II ადგილი დაიკავა. დასანანი მარცხია, მაგრამ მის ტრაგედიასთან გათანაბრებას არავინ აპირებს, ეს მხოლოდ ერთი სპორტსმენის დროებითი წარუმატებლობაა; საკავშირო სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველოს უფროსმა გენადი საპუნოვმა გარკვევით თქვა, რომ მოჭიდავეებს ევროპის ჩემპიონატისთვის მხოლოდ „საგამოცდო ვადის" — საერთაშორისო შეჯიბრებების ციკლის გავლის შემდეგ შეარჩევენ. ეს მოთხოვნა ძალაში რჩება ოლიმპიადისთვისაც. ასე რომ, გურამ გედეხაურს ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა რეაბილიტაციისათვის.

მთავარი ის გახლავთ, რომ საკავშირო ჩემპიონატზე ძირითადად ერთი კაცის იმედად ვიყავით. აი, ამაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება.

ჩვენ ჯერ არ გვითქვამს ბეგი დარჩიას საბოლოო შედეგის შესახებ, რომლის გამოსვლა სიურპრიზად მიიჩნიეს. როგორც იცით, მე-5 წრეში იგი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს მიხეილ მამიაშვილს ხვდებოდა და წარმატების შემთხვევაში... თუმცა აქ მარჩიელობა უკვე აღარ ღირს, ის ორთაბრძოლა მამიაშვილმა მოიგო, მოიგო დიდის ჯაფით, ერთადერთი აღებული ქულის წყალობით. ყველამ აღნიშნა, რომ ამ შეხვედრაში დარჩია უფრო აქტიური იყო, ტოლი არაფერში დაუდო მეტოქეს, მაგრამ დიდმა გამოცდილებამ თავისი გააკეთა. საქართველოს გუნდის წევრს კი სანუგეშოდ ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის უფლება დარჩა. ეს უფლება მან შესანიშნავად გამოიყენა. დარჩიამ მე-6 წრეში დამაჯერებლად სძლია ლენინაკანელ მურად სარქისიანს, წარმატებით ჩაატარა ბოლო შეხვედრა სარქისიანის თანაგუნდელ აშოტ ალექსანიანთან და პირველად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი. ცნობისათვის ვიტყვით: ბეგი დარჩიამ ვარჯიში დაიწყო მახარაძეში, ამჟამად თბილისის სახელს იცავს, არის პროფკავშირული სპორტსაზოგადოების წევრი (მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი აკაკი თავართქილაძე).

მამიაშვილს, დარჩიას დამარცხების შემდეგ, რომ იტყვიან, ბურთი და მოედანი დარჩა, ფინალში ძალზე იოლად აჯობა ევროპის 1986 წლის ჩემპიონს, როსტოველ სერგეი ზასევიჩს და მეოთხედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, შემდეგ კი, აშკარად კარგ გუნებაზე დამდგარი, ხალისით გვიზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს.

— როგორც კი წილისყრა ჩატარდა, მაშინვე ვიფიქრე, რომ ჩემი მთავარი მეტოქე დარჩია იქნებოდა. საერთოდ, თანამემამულე ფალავნებთან ყოველთვის მიჭირს ჭიდაობა, დარჩიასთან — განსაკუთრებით. ეს მოჭიდავე იმით გამოირჩევა, რაც ბუნებას ქართველებისთვის მიუცია, — სწრაფია და ტექნიკური. შეხვედრის დასაწყისში ბევრ ქულას „მართმევს" ხოლმე, მაგრამ ცოტა გამძლეობა ღალატობს და ბოლოს ვინაზღაურებ დანაკარგს.

მეც ქართველი ვარ, მაგრამ მაინც არ მეგონა, თუ აქაური მაყურებელი ასე კარგად ერკვეოდა ჭიდაობაში. სპორტის სასახლეში აზარტიანი, მაგრამ ჭიდაობის ნაღდი შემფასებელი, ობიექტური გულშემატკივრები დადიოდნენ. მე მათი დიდი მადლიერი ვარ.

ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი ვარ და ძალიან მინდა ოლიმპიური ჩემპიონი გავხდე, ეს მოგებაც მეტად გამეხარდა, მით უმეტეს, შარშან მენისკის მძიმე ოპერაცია გადავიტანე...



კვარცხლბეკზე არიან 82 კგ. წონითი კატეგორიის მოჭიდავეები: მ. მამიაშვილი, (ცენტრში), ს. ნასევიჩი (მარცხნივ) და ბ. დარჩია.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

**შეჯიბრების ბოლო დღეს** ოთხ წონით კატეგორიაში გაიმართა გადამწყვეტი შეხვედრები. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა მძიმე წონის მოჭიდავეთა (130 კგ) შერკინება, რომელიც მოულოდნელი ფინალით დამთავრდა: ერთიანად დაკუნთულმა, ნოვოსიბირსკელმა გიგანტმა ალექსანდრე კარელინმა სამ წუთში წმინდად დაამარცხა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იგორ როსტოროცკი (ნოვოროსიისკი). ამ წონით კატეგორიაში VI ადგილი დაიკავა ვასილ ქარსელაძემ.

57 კგ წონაში ჩემპიონი გახდა გროდნოელი ალექსანდრე შესტაკოვი, 68 კილოგრამ წონის ათლეტთა შორის გაიმარჯვა როსტოველმა ისლამ დუგუჩიევმა, რომელმაც მსოფლიოს გასული წლის ჩემპიონს ასლაუდინ აბაევს სძლია. სხვათა შორის, ქვეყნის გასული წლის 10 ჩემპიონიდან მხოლოდ ოთხმა, სუვოროვმა (48 კგ), ტურლიხანოვმა (74), მამიაშვილმა (82) და პოპოვმა (90) შეინარჩუნეს თავიანთი ტიტულები...

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თურმე საქმე საგანგაშოდ გვქონია...

დასასრული

ჩემპიონატის ბოლო საღამოს პრელუდია ცოტა არ იყოს ნაღვლიანი გამოდგა. დიდი სარბიელიდან აცილებდნენ შესანიშნავ ქართველ ფალავნებს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს მიხეილ სალაძეს, თეიმურაზ აფხაზავას, თემურ ყაზარაშვილს, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე წარმატებით იცავდნენ საქართველოსა და ქვეყნის ნაკრების სახელს. ზღვა ხალხი ემშვიდობებოდა ჩემპიონებს, მეგობრები, ნაცნობები, სტუმარი გუნდების წარმომადგენლები, სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, იქვე, დარბაზში გამოსამშვიდობებელი სიტყვა მიხეილ სალაძემ თქვა, ჩვენ კი სამივეს რამდენიმე სიტყვა „ლელოს" მკითხველებისთვის ვთხოვეთ.

**მიხეილ სალაძე.** დაიბადა 1954 წელს ზესტაფონში, მსოფლიოს 1981 წლისა და საბჭოთა კავშირის ოთხგზის (1976, 1979, 1981, 1982 წ.წ.) ჩემპიონი, საკავშირო სპარტაკიადის (1979 წ.) ჩემპიონი: „ძნელი ყოფილა სპორტთან გამოთხოვება, შეჩვეული გარემოს მიტოვება. მუშაობა რომ დავიწყე, კარგა ხანს მაწვალებდა ჭიდაობის სურვილი. აქტიურ სპორტს 1984 წელს დავანებე თავი, ქვეყნის ჩემპიონატში სიცხიანი გამოვედი და წავაგე. ვიცოდი, მწვრთნელებს თვალი ახალგაზრდებზე ეჭირათ და მეორე როლში აღარ მინდოდა ყოფნა. ოლიმპიადისთვის კი კიდევ ოთხი წელი უნდა მეცადა, 1980 წელს გუნდში ვერ მოვხვდი. მაგრამ დამარცხებულიც არ წავსულვარ, უფრო სწორად არ მინდოდა წავსულიყავი. ნორვეგიაში მოვიგე დიდი საერთაშორისო ტურნირი და ხალიჩასაც დავემშვიდობე".

**თეიმურაზ აფხაზავა.** დაიბადა 1955 წელს ქუთაისში. მსოფლიოს (1982, 1983 წწ.) და ევროპის ორგზის (1983, 1984) და საბჭოთა კავშირის (1984 წ) ჩემპიონი: „მართალი გითხრათ, სინანულით დავტოვე სპორტი. დასანანია, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ვერ გავხდი, თუმცა, „დრუჟბა-84" მოვიგე. ჩემი მთავარი მეტოქე, რუმინელი დრაიკა კი ლოს-ანჯელესში გაემგზავრა და, რა თქმა უნდა, იქიდან „ოქრო" წამოიღო. თუმცა, იმ წლებში, 1982, 1983, 1984 წლები მაქვს მხედველობაში, დრაიკას გამუდმებით ვუგებდი....

ახლა მწვრთნელად ვმუშაობ. ძალიან საჭიროა ეს მუშაობა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც შინ ჩვენი გუნდის ასეთი გამოსვლა ვნახეთ"...

**თემურ ყაზარაშვილი.** დაიბადა 1959 წელს თბილისში. მსოფლიოსა (1982 წ) და საბჭოთა კავშირის (1982 და 1984 წ.წ.) ჩემპიონი: „ვარჯიშს 1985 წელს დავანებე თავი, შევატყვე, ცოტა მომწყინდა და მიჰირდა კიდეც. მაგრამ მწვრთნელობა რომ დავიწყე, ისევ საჭიდაოდ გამიწია გულმა. თავს მოვერიე, უკვე მოწაფეები მყავდა და რომ წამეგო, რა მაგალითის მიმცემი ვიქნებოდი მათთვის. მეც გამყვა სინანული, ახალგაზრდა რომ ვიყო, ბევრ რამეს სხვაგვარად გავაკეთებდი, თუმცა, ყოველთვის ასეა, მერეღა ნანობ"...

მართლაც დასანანია, ასეთ ჩემპიონებს რომ ეთხოვები, მით უმეტეს — ნაადრევად. მიხეილ მამიაშვილი გუშინწინ აფხაზავას ნახევრად ხუმრობით ურიგდებოდა კიდეც, ცოტა წონა დაიკელი და საშძლეოზე ვიჭიდავოთო. ჩვენს გუნდს ახლა მართლაც სჭირდება ჩემპიონები, **თბილისში მხოლოდ ერთი ვერცხლის (გედეხაური) და ერთი ბრინჯაოს (დარჩია) მედალი დაგვრჩა, ერთი „ვერცხლით" ნაკლები, ვიდრე წინა საკავშირო ჩემპიონატზე. თან ერთი ადგილით დავიხიეთ უკან — გუნდურ ჩათვლაში VI ადგილი დავიკავეთ.** საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის მიხეილ სალაძის თქმით, გედეხაურის გარდა, ყველამ თავისი შესაძლებლობის ფარგლებში იასპარეზა, ოღონდ უკეთეს შემთხვევაში თითო საფეხურით უფრო მაღალი ადგილის დაკავებაც შეეძლოთ.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ნაკრებში მიწვეულია ყველა ის მოჭიდავე, რომლებმაც აქ, თბილისში, I-IV ადგილი დაიკავეს. ასე რომ, ჯერჯერობით ნაკრების „დიდი შეკრების" უეჭველი კანდიდატები არიან გურამ გედეხაური, ბეგი დარჩია და თენგიზ თედორაძე, ვფიქრობთ, ოლიმპიადისწინა ციკლში მათ ალბათ ბევრჯერ მიეცემათ თავის გამოჩენის შესაძლებლობა.

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ქვეყნის ჩემპიონატი კი ალბათ ღირსეულ ადგილს დაიკავებს ჩვენი სპორტის ისტორიაში. მარტო ბრძოლების ხარისხი და სიმძაფრე არ გვაქვს მხედველობაში, მის სამაგალითო ორგანიზაციულ მხარესაც ვგულისხმობთ.

შეჯიბრების დასასრულს აზრის გამოთქმა ვთხოვეთ სახელოვან ქართველ ფალავანს, ოთხგზის მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს **რომან რურუას.** იგი სულ ახლახან, ერთი წლის განმავლობაში თვითონ ხელმძღვანელობდა საქართველოს ნაკრებს, მაგრამ მისი პოზიცია, შეხედულება უკვე გარეშე თვალით შეფასებული, ალბათ საინტერესო იქნება.

**⊙ რამდენად შეიცვალა კლასიკური ჭიდაობა მას შემდეგ, რაც სარბიელს ჩამოსცილდით?**

— ჩვენს დროს უფრო ძნელი იყო ჭიდაობა, მაშინ ხალიჩა არ იყო შემოფარგლული და პასიურ მოჭიდავეს მუდამ გაქცევაზე ეჭირა თვალი, ერთი ამბავი იყო მის წრეში შემოყვანაზე. თან იგი გაქცევისათვის გაფრთხილებას არ იღებდა. ახლა კი გაადგამ ფეხს წითელი წრის მიღმა და ჯარიმაც გარდუვალია. მხოლოდ ეგ არის, შეხვედრის დროის შემცირებამ კლასიკური ჭიდაობა ნაკლებად ტექნიკური გახადა. ახლა ყველაფერი უსწრაფეს აზროვნებაზე და ილეთების ავტომატურად შესრულებამდე დავიდა. დროსაც არ გაძლევენ, რომ ფანდი ჩაატარო. ჩემთვის ძნელია განსჯა, კარგია ეს თუ ცუდი, ყველა ადამიანს თავისი დროიდან რაღაც კარგი გამოჰყვება ხოლმე და ამიტომ შეიძლება არაობიექტურობა გამოვიჩინო. თუ როგორ შეიცვალა სანახაობრივად კლასიკური ჭიდაობა, ამაზე მაყურებელმა იმსჯელოს.

**⊙ რას გვეტყვით საქართველოს ნაკრების გამოსვლაზე?**

— ყველა ერს აქვს თავისი ხასიათი. ხალხის ხასიათმა, მისმა ნიუანსებმა განსაზღვრა ჩვენი ჭიდაობის ისტორია. არა მგონია, რომ საუკეთესო თვისებები ღაიკარგა, იგი ადამიანის ბუნებაში ზის და ასე უცბად არ ქრება. მაშ რაშია საქმე? ეტყობა რაღაც შეცდომებს ვუშვებთ. და ეს რაღაც, ალბათ მკითხველი დამეთანხმება, უნდა გაირკვეს. ჭიდაობაში ახალბედა და არა ვარ, ჩემს აზრს რაღაც ფასი უნდა ჰქონდეს, აგერ თუნდაც ჩამოსულ სპეციალისტებს ჰკითხეთ, ჩვენებიდან ხომ ბევრი შემომწყრა, ჰკითხეთ გულშემატკივრებს... ამიტომ ჩემს აზრს მოგახსენებთ: ჩვენში მოჭიდავეთა მომზადების ამჟამად არსებული სისტემა შესაცვლელია. იგი რომ შეცვალო, ახალი სისტემა უნდა ჩამოაყალიბო. ვის შეუძლია ეს, მე თვითონ ვერ დავისახელებთ. არ გამიგოთ, საქართველოს ნაკრებს ვგულისხმობდე, იქ იმუშავებს ყველა ყოფილი ჩემპიონი, ან მათი უმრავლესობა. მე ბავშვები მყავს მხედველობაში, რომელთა მომზადების მეთოდი არასწორია და ეს გრძელდება ალბათ 10-15 წლის განმავლობაში. ჩემი ნება რომ იყოს, არსებული ჯგუფებიდან ნახევარს დავხურავდი, ხავისუფალ ქვეყნებში კი — უფრო მეტს. აქ ნორმალურ პირობებში რაოდენობა კი არ არის საჭირო, არამედ ნაყოფიერი, მიზანმიმართული მუშაობა. მწვრთნელები იტყვიან, ლუკმა პურს გვართმევსო, მაგრამ სპეციალისტმა, თუ უკეთესად მუშაობს, მეტი გასამრჯელო უნდა აიღოს. მე ამას ყოველთვის ვამბობდი. ახლა სახელმწიფოც ხომ ამაზე მოგვიწოდებს. საჭიროა ბავშვების სწორად შერჩევა და სწორადვე აღზრდა.



მარცხნიდან — მ. სალაძე, თ. ყაზარაშვილი და თ. აფხაზავა.
ვარლამ გენგიურის ფოტო.

ერთი რამ კიდევ მინდა გითხრათ. ამ საქმეში აჩქარება დამღუპველია. ერთი ჩემპიონის აღზრდას 7 წელი მაინც ჭირდება. ფორსირებით ახალგაზრდა ნაადრევად გამოგვყავს მწყობრიდან. მე სულ ცოტა ხანი ვიმუშავე საქართველოს ნაკრებ გუნდთან. რა თქმა უნდა, რა პირობაც დავდე, იმ დროში ვერც შევასრულებდი და მეც, „ვერ ვივარგე", წავედი.

კიდევ ვიმეორებ, თუ კარგი, გონივრული სისტემა ჩამოყალიბდა, იგი ყველა ხელმძღვანელის ხელში იხეირებს, მას ძნელად თუ მოერევიან.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

**რედაქციისაგან.** გამოტეხილად უნდა ითქვას, ჩვენი გუნდის ასეთ გამოსვლას თვით კლასიკურ ჭიდაობაში კარგად გათვითცნობიერებული ხალხიც არ ელოდა. საბჭოთა კავშირის 57-ე ჩემპიონატი მწარე გაკვეთილი აღმოჩნდა ჩვენთვის. ყველაფერი ჩვენს თვალწინ მოხდა და ყველაფერი კარგად დავინახეთ: ჩვენი სისუსტეც და მეტოქეების გაზრდილი ოსტატობაც. ადრე ანალოგიური შეჯიბრებებიდან ხშირად არასწორი ცნობები მოდიოდა, მარცხი ზოგჯერ ბრალდებოდა არასწორ მსაჯობასა და სხვა სუბიექტურ მიზეზებს. ახლა კი ცხადად დავრწმუნდით, რომ საქმე მხოლოდ ჩვენს ჭიდაობაში შექმნილ მდგომარეობაში ყოფილა და მიზეზიც იქ უნდა ვეძებოთ. საბჭოთა კავშირის 57-ე ჩემპიონატის შედეგები მკაცრი, მაგრამ ობიექტური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. და ეს საუბარი დახანებას არ ითმენს. „ლელოს" ფურცლებს სიამოვნებით დავუთმობთ ყველას, ვინც კი დაინტერესებულია ჩვენი ჭიდაობის ბედით და შეუძლია მართალი, ობიექტური აზრი მოგვაწოდოს.

## შედეგები

კლასიკური ჭიდაობა

**48 კგ.** 1. ს. სუვოროვი (გორნოალტაისკი); 2. ვ. სავჩუკი (მოსკოვი); 3. ო. კუჩერენკო (ვოროშილოვგრადი).
**52 კგ.** ა. კალაშნიკოვი (კიევი); 2. ვ. კოლესნიკი (კიშინიოვი); 3. ა. რომანიუკი (ნიკოლაევი).
**57 კგ.** 1. ა. შესტაკოვი (გროდნო); 2. ტ. კალიმულინი (ომსკი); 3. ს. ბულანოვი (როსტოვი).
**62 კგ.** ა. რუბენიანი (ლენინაკანი); 2. გ. ატმაკინი (სარანსკი); 3. ვ. პერმინოვი (მოსკოვი).
**68 კგ.** 1. ი. დუგუჩიევი (როსტოვი); 2. ა. აბაევი (გროზნო); 3. მ. ისკანდერიანი (ლენინაკანი).
**74 კგ.** 1. დ. ტურლიხანოვი (ალმა-ათა); 2. ა. კონდრაცკი (კიევი); 3. შ. მაგომედოვი (როსტოვი).
**82 კგ.** 1. მ. მამიაშვილი (მოსკოვი); 2. ს. ნასევიჩი (როსტოვი); 3. ბ. დარჩია (თბილისი).
**90 კგ.** 1. ს. პოპოვი (ომსკი); 2. პ. პოტაპოვი (ულიანოვსკი); 3. ს. დემიაშკევიჩი (მინსკი).
**100 კგ.** 1. ა. ფედორენკო (გროდნო); 2. გ. გედეხაური (სართიჭალა); 3. ი. კანიგინი (ვიტებსკი).
**130 კგ.** 1. ა. კარელინი (ნოვოსიბირსკი); 2. ი. როსტოროცკი (ნოვოროსიისკი); 3. ნ. მაკარენკო (როსტოვი).
**საერთო გუნდური.** 1. რსფსრ — 264 ქულა; 2. უკრაინა — 158; 3. ბელორუსია — 136; 4. სომხეთი — 108; 5. მოსკოვი — 102; 6. საქართველო — 62; 7. ყაზახეთი — 40; 8. მოლდავეთი — 24; 9. უზბეკეთი — 14; დანარჩენმა გუნდებმა ჩათვლა ვერ მიიღეს.
**სპორტული საზოგადოებები.** 1. „დინამო" — 246 ქულა; 2. საბჭოთა არმია — 230; 3. პროფკავშირები — 226; 4. „შრომითი რეზერვები" — 102.

# ...და საჭიდაოც გაისმა

**ჩვენი გაზეთის გასული წლის 5 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „დაუკარით საჭიდაო", რომელშიც ლაპარაკი იყო აჭარაში ჭიდაობის სახეობებისა და, კერძოდ, ქართული ჭიდაობის ჩამორჩენის მიზეზებზე.**

**მხოლოდ თვენახევარმა განვლო წერილის გამოქვეყნებიდან და დღეს უკვე ჩვენი საკუთარი ბათუმელი კორესპონდენტი ლევან ქავჟარაძე გვატყობინებს:**

კრიტიკულ წერილზე, როგორც წესი, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები პასუხს ველით. პასუხი პასუხად, მაგრამ აჭარის სპორტის მესვეურებმა იმ წერილის შემდეგ კონკრეტული ზომები მიიღეს. წლის მიწურულს ბათუმის სახელმწიფო ცირკში (იმ ცირკში, რომელსაც უკანასკნელ ხანს არ უთმობდნენ სპორტსმენებს საასპარეზოდ) გაიმართა ავტონომიური რესპუბლიკის გუნდური პირველობა.:. ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ ბათუმის, ქობულეთის, შუახევისა და ხულოს კოლექტივები. ხოლო თუ რატომ ვერ გამოიყვანეს ქედისა და ხელვაჩაურის რაიონებმა გუნდები, ამაზე, ალბათ, ცალკე მსჯელობა ექნებათ აჭარის სპორტსახკომში.

სამწუხაროდ, შეჯიბრება არ იყო საკმარისად აფიშირებული და უმთავრესად, ალბათ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ფალავანთა საინტერესო ჭიდილს მაყურებელი დააკლდა.

პირველი ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმისა და ქობულეთის გუნდები. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვეს ქობულეთელებმა და დამსახურებულად მოიპოვეს ქართულ ჭიდაობაში აჭარის პირველი გუნდური პირველობა.

მესამე ადგილისათვის ხულოსა და შუახევის რაიონის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს. ხულოელები უკეთ მომზადებულნი აღმოჩნდნენ და გაიმარჯვეს კიდეც ანგარიშით 6:2.

— ამიერიდან ქართულ ჭიდაობაში ასეთი შეჯიბრებები ტრადიციული გახდება, — თქვა აჭარის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. კვაჭაძემ, — და რომ იგი უფრო საინტერესოდ ჩატარდეს, მოვიწვევთ რესპუბლიკის უძლიერეს ფალავნებსაც.. ეს უფრო მეტად გაზრდის სპორტის ამ მიმზიდველი სახეობის პოპულარობას, რაც, უდავოდ, შემდგომი წარმატების საწინდარია.

ასე რომ, საჭიდაო უკვე დაუკრეს. მთავარია მისი ხმა ავტონომიური რესპუბლიკის ყველა რეგიონში, თითოეულ სოფელშიც ჟღერდეს.

**ლევან ქავჟარაძე.**



## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „კვლავ ფორმალიზმი, კვლავ უპასუხისმგებლობა"

„ლელოს" 9 იანვრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებულ წერილთან დაკავშირებით პროფესიულ-ტექნიკური განათლების თბილისის სამმართველომ გამოგვიგზავნა პასუხი, რომელშიც ნათქვამია:

„გაცნობებთ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება და ძირითადად გამოწვეულია სასწავლებლების დირექციისა და ფიზაღზრდის მასწავლებლების შეუთანხმებელი მუშაობით. ყველა ფიზაღზრდის ხელმძღვანელს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება და დაისაჯნენ ადმინისტრაციული წესით. მათ წინადადება მიეცათ სასწრაფოდ გამოასწორონ მდგომარეობა. დირექტორების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი კი ცალკე განიხილება პროფტექგანათლების სამმართველოს საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

ჯ. ფერაძე,
პროფტექნიკური განათლების თბილისის სამმართველოს უფროსი, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

## ინფორმაცია

**აბაკანი.** თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო სამატჩო შეხვედრაში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა აშშ-ს გუნდი — 6:4. გამარჯვება მოიპოვეს: 48 კგ — სერგეი კარამჩაკოვმა, 52 კგ — იური მამიშევმა (ორივე — სსრ კავშირი), 57 კგ — კარლ გლოვერმა, 62 კგ — ჯონ ორმა (ორივე — აშშ), 68 კგ — აბდულა მაგომედოვმა (სსრ კავშირი), 74 კგ — კენი მონდეიმ (აშშ), 82 კგ — ალექსანდრე სავკომ (სსრ კავშირი), 90 კგ — ჯიმ შერმა (აშშ), 100 კგ — დიმიტრი იანიჩევმა, 130 კგ — ნიკოლოზ ივანოვმა (ორივე — სსრ კავშირი).

**კაუნასი.** აქ დამთავრდა ძიუდოისტ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ფაბიენ ბოფინმა (საფრანგეთი), ტატიანა ვოროპაევამ (სსრ კავშირი), ჯანეტ ტრასელმა, ლინ რეტკემ (ორივე — აშშ), კლერ რეკამ (საფრანგეთი), ირინა ზარიცკაიამ, ირინა ჭმელიანოვამ (ორივე — სსრ კავშირი). ყველაზე პრესტიჟულ წონაში — აბსოლუტურ კატეგორიაში — პირველი ადგილი ბულგარელმა ცვეტანა ტუმოვამ მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა ტურნირის მონაწილენი

# ქეთევან არახამია

დასასრული

ით, ისევე როგორც ორი წლის წინ, კვლავ პირველ ადგილზე გამოვიდა.

არახამიას თამაში ტუზლას საზონათშორისო ტურნირში უმაგალითოა თანამედროვე ჭადრაკში. თბილისელმა საპრიზო სამეულსა და პრეტენდენტთა ასპარეზობაში მოხვედრა განიზრახა, მაგრამ როგორი გზით! მან „ომი გამოუცხადა" ყაიმებს და უკიდურესად მწვავედ ითამაშა. ქეთევანის საჭადრაკო მაქსიმალიზმი ჩვენთვის ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ ტუზლაში იგი განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა. შედეგი? 12 მოგება და 5 წაგება, არცერთი ყაიმი, ჯილდოდ — პრეტენდენტის „კვერთხი".

არახამია უდავოდ სწორად მოიქცა, როცა პრეტენდენტთა ტურნირის წინ უკანასკნელ „რეპეტიციად" საბჭოთა კავშირის 1987 წლის ჩემპიონატი აირჩია. ახალგაზრდა დიდოსტატს ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრა სჭირდებოდა, თბილისში კი მსოფლიო ჩემპიონობის სამ პრეტენდენტთან ერთად (იოსელიანი, ახმილოვსკაია, ლიტინსკაია) ცნობილი ოსტატების დიდი ჯგუფი გამოდიოდა. არახამიამ არც აქ უღალატა ჩვეულ შემტევ, უკომპრომისო სტილს. საკმარისია ითქვას, რომ 19 პარტიიდან მან მხოლოდ 4 დაამთავრა ყაიმით და ისიც — დიდი ბრძოლის შემდეგ. მთავარი კი ის იყო, რომ არახამიამ 11 პარტია მოიგო და საპატიო მესამე ადგილზე გამოვიდა. მისი „სამსახურებრივი ნუსხა" კიდევ უფრო გამდიდრდა.

ყაიმების მოძულე ქეთევან არახამიას ისე აქვს შემუშავებული თავისი სადებიუტო რეპერტუარი, რომ ბრძოლას თავიდანვე მძაფრი ხასიათი მისცეს. როცა რაიმე სადებიუტო სიახლეს აწყდება, იგი მასში საფუძვლიანად გარკვევას და კონტრთამაშის შექმნას ახერხებს. საერთოდ, ქეთევანი ხშირად ხვდება ცაიტნოტში, მაგრამ დროის სიმცირის პირობებშიც აუღელვებლად თამაშობს, ჩინებულად ერკვევა ტაქტიკურ გართულებებში და უკეთეს შედეგებსაც აღწევს, ვიდრე მისი მეტოქეები, თუმცა მათ სვლების მოფიქრებისთვის უფრო მეტი დრო აქვთ. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ, ცხადია, სჯობს ქეთევანმა დრო მაინც დაზოგოს.

ერთი სიტყვით, ქეთევან არახამია უმაღლესი დონის შეჯიბრების დებიუტანტია. რას უნდა ველოდოთ მისგან? — ვფიქრობთ, ისევე როგორც ბოლო წლების თითქმის ყველა შეჯიბრებაში, ქეთევანი აქაც ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მონაწილე იქნება. მისი საბრძოლო სტილი ამის სრულ გარანტიას იძლევა. არახამიას რაღა წაქეზება უნდა, მაგრამ პრეტენდენტთა ტურნირის დებულება თავისთავად ისეთია, რომ ყველა მონაწილეს მეტად შეუპოვარი, უკომპრომისო ბრძოლისაკენ უბიძგებს.

არახამია ერთი იმ მოჭადრაკეთაგანია, რომელთა რეიტინგიც სისტემატურად იზრდება — ამჟამად იგი 2420-ია. ეს მეექვსე მაჩვენებელია მსოფლიოში, წყალტუბოს ტურნირის მონაწილეთა შორის კი — მესამე. ამ მხრივ ქეთევანს მხოლოდ ნონა გაფრინდაშვილი და ნანა იოსელიანი უსწრებენ.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში



თბილისი. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი. 23 იანვარი.

„დინამო" (თბილისი) — ვეფ (რიგა) 105:92 (55:44).

„დინამო": სანაძე (24), კაპუსტინი (19), ტიუბინი (16), ოპოშნიანი (16), დარსაძე (14), დერიუგინი (14), კოლიჩევი (2).

ვეფ: ვეტრა (20), პუკე (16), მელნიკი (14), ბონდარენკო (10), ლიეპა (10), ეკაბსონი (8), მელდერისი (8), ვალტერსი (4), უვიგურსი (2).

მსაჯები: ვ. მუხინი (ბაქო), ბ. ცარიკოვი (გომელი).

* * *

თბილისი. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი. 23 იანვარი.

ცსკა — „დინამო" (მოსკოვი) 114:94 (62:35).

ცსკა: ვოლკოვი (21), ბერეჟნოი (17), ტარაკანოვი (17), მიგლინიეკსი (11), პანკრაშკინი (10), გობოროვი (9), ლოპატოვი (9), პოპოვი (6), გორინი (6), ენდენი (4), მინაევი (2), ბაზარევიჩი (2).

„დინამო": გადაშევი (17), სუხარევი (12), შიშკოვი (12), კოჩერგინი (12), ნადოსეკინი (11), კორნიშინი (8), გონჩაროვი (8), ჟიგილი (5), შჩაკულინი (5), ოხოტნიკოვი (4)

მსაჯები: ი. გოლინსკი (კალუგა), ი. ტავასტე (ვილიანდი).

თბილისი. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი. 24 იანვარი.

„დინამო": (მოსკოვი) — ვეფ (რიგა) 115:99 (55:51).

„დინამო": ჟიგილი (31), კორნიშინი (28), შიშკოვი (27), სიზოვი (11), გონჩაროვი (6), კოჩერგინი (4), გადაშევი (4), სუხარევი (2), ოხოტნიკოვი (2).

ვეფ: მელნიკი (29), ვალტერსი (21), ვეტრა (15), ლიეპა (12), ბონდარენკო (11), პუკე (10), ბრიდინში (1).

მსაჯები: ვ. სუურკასკი (ტალინი), ვ. მუხინი (ბაქო).

* * *

თბილისი. სპორტის სასახლე. 24 იანვარი.

ცსკა — „დინამო" (თბილისი) 105:72 (48:37).

ცსკა: ვოლკოვი (26), ბერეჟნოი (19), გორინი (16), პოპოვი (11), ტარაკანოვი (7), მინაევი (7), ენდენი (7), ლოპატოვი (5), პანკრაშკინი (4), მიგლინიეკსი (3), გობოროვი.

„დინამო": სანაძე (13), კოლიჩევი (11), ტიუბინი (11), დერიუგინი (11), ოპოშნიანი (10), ბალათურია (5), ფერიაშვილი (4), კაპუსტინი (3), დარსაძე (2), ბთროდაჩოვი (2), უსტიაშვილი.

მსაჯები: ბ. ცარიკოვი (გომელი), ი. გოლინსკი (კალუგა).

# კალენდარი სტაბილური უნდა იყოს

**კალათბურთელთა** ჩემპიონატის მატჩებზე საუბარი მისი კალენდრით გვინდა დავიწყოთ. ჯერ იყო და აშშ-ში ტურნეს გამო ორთვიანმა შესვენებამ მწვრთნელებს სერიოზული თავსატეხი გაუჩინათ — როგორ შეენარჩუნებინათ ამ ხნის განმავლობაში გუნდის სპორტული ფორმა, შემდეგ, 4 დეკემბრიდან 25 იანვრამდე გუნდებმა 18 მატჩი ითამაშეს — ფაქტიურად ყოველ მეორე დღეს. ამას დაუმატეთ მგზავრობა ერთი ქალაქიდან მეორეში. ცხადია, ასეთ პირობებში ვეგმაზომიერ საწვრთნელ პროცესზე ლაპარაკი ზედმეტია.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" მწვრთნელებმა (ვ. კონდრაშინი, ვ. გარასტიასი, ნ. ბოჟენარი, ნ. მელნიჩუკი, ი. სალუმეტსი) სავსებით სამართლიანი გულისწყრომა გამოთქვეს ჩემპიონატის ფორმულის მისამართით (სხვათა შორის, მწვრთნელები ფორმულას შარშანაც აკრიტიკებდნენ, თუმცა ეს სისტემა, ოდნავი მოდიფიკაციით, წლეულსაც ძალაში დარჩა). მწვრთნელებმა სწორად შენიშნეს ის ალოგიზმი, რომელიც ჩემპიონატის ჩატარების ახლანდელ სისტემას გააჩნია. თუ უძლიერესი რვა გუნდი ასპარეზობას პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულებით განაგრძობს, ბოლო ოთხ კოლექტივს მხოლოდ ერთმანეთთან მატჩებში მოგროვებული ქულები ეთვლებათ („სტატიბა", რომელმაც ორი მატჩი მოუგო მოსკოვში ცსკა-ს და „დინამოს", ეს გამარჯვებები არაფერში არ გამოადგა). სწორედ ამან წარმოშვა ბევრი გაუგებრობა, რომელმაც ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასკვნით ტურში იჩინა თავი, თუმცა აქვე დავძენთ, რომ „კალევმა" მთელი ძალით არ ითამაშა არა მარტო თბილისის „დინამოსთან", არამედ ორჯერ „შახტიორთანაც", ხოლო მინსკში რტი-მ, ვეფმა და „სტროიტელმა" ერთმანეთში მშვიდობიანად გაიყვეს ქულები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი რეციდივები ჩემპიონატის მეორე ეტაპზეც შეგვხვდება. საქმე ისაა, რომ ცსკა-ს და „ჟალგირისს" განაღდებული აქვთ პირველი და მეორე ადგილები და შემდგომ ეტაპზე ასპარეზობის სტიმული დაკარგეს. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ჩემპიონატის ასეთი მრავალეტაპობრივი სისტემა გამართლებული არ უნდა იყოს.

**ახლა კი თბილისის ტურის მატჩებზე.**

ვინაიდან თბილისის „დინამო" და რიგის ვეფი გათამაშების ცხრილში ერთმანეთის მეზობლად არიან განლაგებული, მატჩს ამ გუნდებს შორის უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ბრძოლის ბედი მნიშვნელოვანწილად ორივე კოლექტივის სნაიპერთა დუელზე იყო დამოკიდებული. ამიტომ თბილისელებმა აქცენტი ვეფ-ის ლიდერის ვალტერსის ნეიტრალიზებაზე გადაიტანეს. ეს უკანასკნელი კი ჯერჯერობით არ არის საუკეთესო ფორმაში და ამ გარემოებამ მასპინძლებს შესამჩნევად გაუადვილა ამოცანა.

თამაშის დასაწყისი თანაბარი ბრძოლით აღინიშნა, მეექვსე წუთისთვის ანგარიში იყო 18:18. მერე დინამოელები გააქტიურდნენ და ზუსტი სროლების წყალობით 11 ქულით დაწინაურდნენ — 29:18. ვეფ-მა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით პრესინგს მიმართა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა — 29:28. ტაიმის ბოლო წუთები მასპინძლებმა კვლავ აღმავლობით ჩაატარეს და პირველი ნახევარი 11 ქულიანი სხვაობით მოიგეს. თამაშის ეს პერიოდი აქტიურად ჩაატარა კაპუსტინმა, თანაც კარგად გაართვა თავი ვალტერსის მეურვეობას. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ სანაძის სასარგებლო და აზრიანი თამაში. მან ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ალბათ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

მეორე ტაიმში რიგელთა ცდას, გარდატეხა შეეტანათ თამაშის მსვლელობაში, შედეგი არ მოჰყოლია. მასპინძლები მტკიცედ ფლობდნენ ინიციატივას და მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნეს კიდეც.

მოსკოვის არმიელთა წინააღმდეგ თამაში საერთოდ იოლი საქმე არ არის, მაგრამ თბილისელები საკუთარ მოედანზე მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ მუდამ მონდომებით თამაშობენ. თავის მხრივ ცსკა-ც „დინამოსთან" შეხვედრისთვის საგანგებოდ და საგულდაგულოდ ემზადება.

თბილისელებს მონდომება არც ამ მატჩში დაუკლიათ. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავს ზემოთ ძალა არ არის. არმიელებმა თანდათან ხელთ იგდეს უპირატესობა და ბოლომდე შეინარჩუნეს იგი. საუცხოოდ ითამაშა ამ დღეს ვოლკოვმა, გუნდის სხვა წევრებმაც, რომლებმაც პირველ რიგში უვნებელყვეს თბილისელთა სნაიპერები. მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა ცსკა საგრძნობლად დაწინაურდა, „დინამოს" მწვრთნელებმა მოედანზე ახალგაზრდა კალათბურთელები გამოიყვანეს. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თბილისელები ტურის ბოლო მატჩში პრინციპულ მეტოქეს — მოსკოვის „დინამოს" უნდა შეხვდნენ.

ცსკა-სა და მოსკოვის „დინამოს" შეხვედრაშიც უპირატესობა არმიელთა მხარეს იყო. ეს გარემოება ორმა ფაქტორმა განაპირობა: ცსკა დაცვაშიც უფრო აქტიური იყო და ორთავე ფარზეც გადამწყვეტ უპირატესობას ფლობდა. მოსკოვის „დინამომ" თავის მხრივ დამაჯერებლად დაამარცხა რიგის ვეფ-ი.

მერაბ კალანდაძე.

## სხვა მატჩები

**დონეცკში** მიმდინარეობს უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტთა მეორე ოთხეულის ტურნირი. აქ ფავორიტებად კაუნასის „ჟალგირისი" და კიევის „სტროიტელი" ითვლებიან, რომლებმაც უკვე 2-2 შეხვედრა მოიგეს.

„ჟალგირისმა" პირველ დღეს მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდი დაამარცხა 82:65 (37:24), მერე კი დონეცკის „შახტიორსაც" აჯობა 101:74 (53:33).

ორი გამარჯვება აქვს „სტროიტელსაც". „შახტიორს" მან მოუგო ანგარიშით 110:96 (68:46), რტი-ს კი 96:85 (63:45).

ტურის ცენტრალური შეხვედრა „ჟალგირისსა" და „სტროიტელს" შორის გაიმართება.

სსრ კავშირის ჩემპიონატი და თასის გათამაშება სათხილამურო რბოლაში

# კალგარი ბაკურიანში იწყება

ბაკურიანში უკანასკნელად ამოწმებენ ძალებს სათხილამურო რბოლებში სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრები. კვირას მათ სსრ კავშირის ჩემპიონატის პროგრამით იასპარეზეს, გუშინ კი — ქვეყნის თასი გაითამაშეს მოკლე დისტანციებზე.

... თეთრად მოქათქათე იმერლების ველი ამ დღესაც მზის სხივებით იყო მოფენილი — ქვეყნის საუკეთესო მრბოლელები იბრძოდნენ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის და... კალგარის ოლიმპიური საგზურებისათვის. ბარე 150 მოთხილამურე, რომელთაგან ასამდე ვაჟი იყო, ელოდა სტარტს. მაყურებელი ცნობდა ოლიმპიურ ჩემპიონებს, საბჭოთა სპორტის აღიარებულ ოსტატებს — რაისა სმეტანინას, ნიკოლაი ზიმიატოვსა და სხვებს.

გასაგებია, რომ როგორც ქალთა (10 კმ), ისე ვაჟთა (30 კმ) შეჯიბრება საკმაოდ დაძაბული და საინტერესო იყო — ოქროს ოლიმპიელები, რომელთა ასაკმა სამ ათეულ წელს გადააჭარბა, პრიზიორთა სამეულის მიღმა დარჩნენ. ახალგაზრდობამ აშკარად იმარჯვა.

ქვეყნის გასული წლის ჩემპიონმა, 27 წლის ვილნიუსელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვიდა ვენცენემ საუკეთესო დრო აჩვენა — 30 წუთი და 21,2 წამი. მეორე შედეგი ჰქონდა იჟევსკელ ტამარა ტიხონოვას (31.36,7), მესამე — სვეტლანა ნაგეიკინას (მოსკოვის ოლქი) — 31.37,7. ორგზის „ოქროს ოლიმპიელი" რაისა სმეტანინა (სიქტივკარი) მეხუთე იყო — 31.40,9.

ვაჟებში თავიდანვე დაწინაურდა ახლანდელი ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, 24 წლის ალმაათელი ვლადიმერ სმირნოვი — 1:23.15,9. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან პერმელი მიხეილ დევიატიაროვი (1:23. 25. 3) და იჟევსკელი იური ბურლაკოვი (1:24. 22. 7). ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ნიკოლოზ ზიმიატოვს მეხუთე შედეგი ჰქონდა — 1:25.17,2.

გუშინ ბაკურიანში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშება: ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 5 კილომეტრზე, ვაჟები — 15 კმ. საუცხოოდ იასპარეზა უზერებელმა რაისა სმეტანინამ, რომელმაც გაიმარჯვა აშკარა უპირატესობით — 18.26,1. ს. ნაგეიკინა მეორე იყო (18.29,0), თ. ტიხონოვა — მესამე (18.29,6). ვ. ვენცენემ ამჯერად მეოთხე შედეგი აჩვენა — 18.30,0.

ვაჟთა შორის გაიმარჯვა 23 წლის ვლადიმირელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ალექსანდრ პროკუროროვმა (45.44,6), რომელიც ჩემპიონატზე მეოთხე იყო. მომდევნო ადგილებზე არიან იჟევსკელი ვლადიმერ ნიკიტინი (46.07,3) და ჩერნოგოველი ალექსანდრ ბატიუკი (46.10,2). წინადღით გამარჯვებული ვ. სმირნოვი მხოლოდ მეცხრე ადგილზეა — 47.20,1.

28 იანვარს ბაკურიანში გაიმართება საკავშირო თასის უკანასკნელი შეჯიბრება (ქალები — 20 კმ, ვაჟები — 50 კმ), რომელიც საბოლოოდ გაარკვევს თუ ვინ მოხვდება კალგარის თეთრ ოლიმპიადაზე ქვეყნის ნაკრებ გუნდში.

სოფიკო ხეთაგაშვილი,
„ლელოს" კორ. ტელეფონით.

# პირველი შესვენება

**დამთავრდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა 44-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური.**

**ხარკოვი.** თბილისის დინამოელებს ბოლო შეხვედრა მოსკოვის თანაკლუბელებთან ჰქონდათ. სამი პერიოდი ჩვენმა წყალბურთელებმა ერთქულიანი სხვაობით წააგეს, ერთი პერიოდი კი ორი ქულით. საბოლოო ჯამში მოსკოვის „დინამომ" გაიმარჯვა 12:7 (3:2, 3:2, 3:1, 3:2).

შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა მოსკოვის უნივერსიტეტისა და ტურის მასპინძლის, ხარკოვის „ლოკომოტივის" შეხვედრა. მოსკოველებმა მხოლოდ მინიმალური სხვაობით იმარჯვეს — 12:11 (3:2, 4:2, 2:4, 3:3).

ლვოვის „დინამოსა" და „მოსკვიჩის" შეხვედრაში ბრძოლა ფაქტიურად პირველ პერიოდში იყო. მერე კი დინამოელთა უპირატესობა გამოიკვეთა, რომლებმაც მოიგეს კიდეც მატჩი — 11:7 (3:3, 3:1, 4:2, 1:1).

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 5 | 4 | 1 | 0 | 50-34 | 9 |
| უნივერსიტეტი (მოსკოვი) | 5 | 2 | 2 | 1 | 38-37 | 6 |
| „დინამო" (თბილისი) | 5 | 2 | 2 | 1 | 37-37 | 6 |
| „დინამო" (ლვოვი) | 5 | 1 | 3 | 1 | 44-41 | 5 |
| „მოსკვიჩი" | 5 | 1 | 0 | 4 | 28-39 | 2 |
| „ლოკომოტივი" (ხარკოვი) | 5 | 0 | 2 | 3 | 34-43 | 2 |

**ალმა-ათა.** ჯგუფის ერთპიროვნულმა ლიდერმა ცსკ ვმფ-მ მორიგი, მეხუთე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად, სამხედრო მეზღვაურებმა შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის (სევასტოპოლი) გუნდი დაამარცხეს — 10:8 (1:2, 5:2, 2:2, 2:2).

უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა მინსკის არმიელთა კოლექტივმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ბაქოელ მეზღვაურებს, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდნენ — 12:13 (2:4, 5:4, 1:3, 4:1).

ადგილობრივმა „დინამომ" კიევის თანაკლუბელებს აჯობა 12:8 (2:3, 4:1, 3:1, 3:3).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა ვმფ | 5 | 5 | 0 | 0 | 49-39 | 10 |
| „დინამო" (ალმა-ათა) | 5 | 4 | 0 | 1 | 54-38 | 8 |
| „დინამო" (კიევი) | 5 | 2 | 1 | 2 | 43-43 | 5 |
| კკფ (ბაქო) | 5 | 1 | 2 | 2 | 46-53 | 4 |
| კჩფ (სევასტ.) | 5 | 1 | 1 | 3 | 39-46 | 3 |
| ასკ (მინსკი) | 5 | 0 | 0 | 5 | 41-53 | 0 |

## საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

**ინდოეთში** მიმდინარე ჯავაჰარლალ ნერუს საერთაშორისო მემორიალზე მესამე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ძნელ ბრძოლაში მოუგეს ჩინეთის ნაკრებს — 2:1 (1:1). ჩვენი გუნდიდან ბურთები გაიტანეს კოლივანოვმა და ბოროდიუკმა. ტურნირში ლიდერობს სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები — 6 ქულა.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

# სპორტული ლატარიის კეთილშობილური მიზანია ხელი შეუწყოს საბჭოთა სპორტის განვითარებას




## „სპორტლოტო"—88

**სპორტული** ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო „სპორტლოტოსა" და „სპორტპროგნოზის" მოყვარულთა თხოვნით განმარტავს შეღავათის მიცემის წესს მათთვის, ვის ბილეთებსაც 1988 წელს დიდი მოგება ხვდება.

— ათტირაჟიანი ბილეთების მფლობელებს, რომლებიც ზედიზედ ათ ტირაჟში ან ერთ ტირაჟში ათჯერ მონაწილეობენ, ერთ ტირაჟში ერთი ვარიანტით მაქსიმალური თანხის 10000 მანეთის მოგების შემთხვევაში უფლება ეძლევათ რიგგარეშე შეიძინონ ავტომანქანა „ვოლგა" გაზ-24-10;

— მათ, ვინც „სპორტლოტო 6-45"-დან და „სპორტლოტო 5-36-დან" ლატარიების ერთტირაჟიანი ბილეთების ერთ ვარიანტში და ლატარია „სპორტპროგნოზში" 10000 მანეთს მოიგებს, უფლება ეძლევათ რიგგარეშე შეიძინონ ავტომანქანა „ჟიგული" ვაზ 2107;

— მათ, ვინც გამოიცნობს 6 სახეობას „სპორტლოტო 6-45-დან" ან 5 სახეობას „სპორტლოტო 5-36-დან" ლატარიებში, ან 13 შედეგს ლატარია „სპორტპროგნოზში" ერთი ტირაჟის ერთ ვარიანტში და მოგებული თანხა აღმოჩნდება 10000 მანეთზე ნაკლები, მაგრამ არანაკლები „ჟიგულის" მარკის ავტომანქანის ღირებულებისა, უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკური სამმართველოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

კონკურსში თამაშდება „ჟიგული" ვაზ 21063 და ამ მარკის სხვა მოდიფიკაციის 40 ავტომანქანა.

კონკურსში მონაწილეობს მხოლოდ საქართველოს სსრ-ში შეძენილი ბილეთები, რომელთა „ბვ" ნაწილი ჩაშვებული იქნება „სპორტლოტოს" ყუთებში ან ჩაბარდება საზოგადოებრივ გამავრცელებელს ნომრიანი შტამპის აღსანიშნავად რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მოგების მფლობელს ტალონი მიეცემა ტირაჟის ჩატარებიდან 15 დღის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში.

ავტომანქანის რიგგარეშე შეძენა ფორმდება სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოში (მისამართი: ელიავას ქ. № 26), მოგების მფლობელის პირადი განცხადების საფუძველზე, სადაც მითითებული უნდა იყოს საპასპორტო მონაცემები.

**ცნობებისათვის დარეკეთ: 34-20-00.**

**საქსპორტლოტო.**

## ისარგებლეთ ცენტრის მომსახურებით

„**საქსპორტლოტოს**" რესპუბლიკურ სამმართველოსთან არსებული სპორტული ლატარიების პროპაგანდისა და რეალიზაციის ცენტრი დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტული ლატარიების თბილისელ მოყვარულთა შორის. ცენტრი თითქმის ერთი წელია არსებობს და „სპორტლოტოსა" და „სპორტპროგნოზის" მოყვარულთათვის, შეიძლება ითქვას, ერთგვარ კლუბად იქცა, სადაც შეიძლება შეკრება, ინფორმაციის გაცვლა, საინტერესო სიახლეების შეტყობა. მათ განკარგულებაშია ცენტრის კედლებზე გამოკრული „სპორტპროგნოზის" უახლოესი ტირაჟების პროგრამები, გასული ტირაჟების შედეგები და სხვა საინტერესო ინფორმაცია.

მასპინძლები გულღიად ხვდებიან სტუმრებს და კვალიფიციურ, ამომწურავ პასუხს აძლევენ მათთვის საინტერესო შეკითხვებზე.

იქვე, ცენტრის მახლობლადაა შემნახველი სალაროც, სადაც სწრაფად ხდება მოგებული თანხის გაფორმება და გაცემა.

იმის შესახებ, თუ რა მზარდი პოპულარობით სარგებლობს სპორტული ლატარიები ჩვენს რესპუბლიკაში, მიგვანიშნებს თუნდაც ეს ციფრები: 1986 წელს რესპუბლიკის ფარგლებში რეალიზაცია გაუკეთდა თოთხმეტმილიონნახევარ სპორტულ ლატარიას, 1987 წელს კი ამ რიცხვმა 18 მილიონს გადააჭარბა. ამაში, რა თქმა უნდა, დიდი წვლილი მიუძღვის სპორტული ლატარიების რესპუბლიკური სამმართველოს კოლექტივს. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და იმედია სამმართველოს ხელმძღვანელობა კვლავაც წარმატებით შეძლებს მათ გადაჭრას.

### ყურადღება!

**„სპორტპროგნოზის" ბილეთების რეალიზაციის დაწყებასთან და „ბვ" ნაწილების მკვეთრად გაზრდასთან დაკავშირებით 25 იანვრიდან თბილისში, ლენინის მოედანზე მდებარე საფირმო კიოსკში ბილეთებზე შტამპის დასმა შეწყდა, მიწისქვეშა გასასვლელში შეზღუდული პირობების გამო. ამ კიოსკში „ბვ" ნაწილები უნდა ჩაუშვათ „სპორტლოტოს" ყუთში.**

**ვისაც სურს ბილეთებზე შტამპის დასმა, მიმართონ სპორტული ლატარიების პროპაგანდისა და რეალიზაციის ცენტრს (ელიავას ქ. №26).**

**საქსპორტლოტო.**

**სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!**

## საფეხბურთო სპორტპროგნოზი

**წლევანდელი** საფეხბურთო ჩემპიონატის მსვლელობის დროს სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ გადაწყვიტა ჩაატაროს „სპორტპროგნოზის" სპეციალური ტირაჟები, რომლებსაც საფუძვლად დაედება ერთი საფეხბურთო გუნდის მიერ გათამაშების პირველ წრეში გამართული 13 მატჩის შედეგის პროგნოზირება. ქართველ გულშემატკივართა დიდ ინტერესს გამოიწვევს, რა თქმა უნდა, ის თამაშები, რომლებშიც თბილისის „დინამო" მიიღებს მონაწილეობას.

თბილისის „დინამოს" გარდა სპეციალურ ტირაჟებში მონაწილეობას მიიღებს კიდევ ექვსი გუნდი: „სპარტაკი" (მოსკოვი), „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი), „დინამო" (კიევი), „ქაირათი" (ალმა-ათა) და პირველი ლიგის ორი გუნდი — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) და „როსტსელმაში" (როსტოვი). ფეხბურთის მოყვარულებს შეუძლიათ პროგნოზირება გაუკეთონ თამაშებს ყველა ზემოთჩამოთვლილი გუნდების მონაწილეობით.

სპეციალურ ტირაჟებში უპირატესობა მიეცემა ახალ, სამვარიანტიან ბილეთებს, რომლის ფასია 92 კაპიკი და რომელთა შევსება მნიშვნელოვნად გამარტივებულია. მოთამაშემ ვარიანტის შესაბამის სვეტში მკვეთრად უნდა აღნიშნოს ნიშანი „X". თუ უპირატესობა ეძლევა პირველ გუნდს (მასპინძელს) ნიშანი „X" დაისმება პირველ სვეტში, რომელიც აღნიშნულია ციფრით „1". ფრედ დამთავრებისას ნიშანი „X" დაისმება მეორე სვეტში, რომელიც აღნიშნულია ციფრით „0". თუ მოგება ენიჭება მეორე გუნდს (სტუმარს) ნიშანს „X" ჩაწერთ ციფრი „2"-ით აღნიშნულ მესამე სვეტში.

ბილეთის შევსების ზუსტი წესი მოცემულია მის მეორე მხარეზე. სანამ თქვენი ვარიანტების შევსებას შეუდგებოდეთ, აუცილებლად გაეცანით თამაშის ძირითად პირობებს.

სამვარიანტიან ბილეთებთან ერთად სპეცტირაჟებში მონაწილეობას მიიღებენ 1 მანეთად და 82 კაპიკად ღირებული ექვსვარიანტიანი ბილეთებიც. ისინი შეივსება ჩვეულებრივი წესით: მასპინძელი გუნდის გამარჯვება ციფრით „1", სტუმრების გამარჯვება ციფრით „2", ფრე — ნიშნით „X".

სპეცტირაჟების პარალელურად ჩატარდება ლატარია „სპორტპროგნოზის" ჩვეულებრივი ტირაჟებიც.

ლატარიის 02 კაპიკად ღირებული ძველი ბლანკები მონაწილეობენ როგორც სპეციალურ, ასევე ჩვეულებრივ ტირაჟებში მხოლოდ ქალაქ თბილისის ფარგლებში. ძველი ბლანკების „ბვ" ნაწილების ჩაბარება და საფასურის გადახდა იწარმოებს სპორტული ლატარიების პროპაგანდისა და რეალიზაციის ცენტრში (ელიავას ქ. №. 26) და ადრე გამოცხადებულ პუნქტებში.

გახსოვდეთ, რომ სპეციალურ ტირაჟებში, ბილეთის იმ უჯრედში, სადაც, ჩვეულებრივ, ტირაჟის ნომერს წერთ, უნდა ჩაწეროთ იმ გუნდის პირობითი აღნიშვნა, რომლის შედეგებსაც უკეთებთ პროგნოზირებას: „დინამო" (თბილისი) — **ДТ**, „სპარტაკი" (მოსკოვი) — **СМ**, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — **ДД**, „დინამო" (კიევი) — **ДК**, „ქაირათი" (ალმა-ათა) — **КА**, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — **ПТ**, „როსტსელმაში" (როსტოვი) — **РР**.

სპეციალურ ტირაჟებში მონაწილე შევსებული ბილეთების მიღება დაიწყება ა. წ. 30 იანვარს და შეწყდება ლატარია „სპორტპროგნოზის" მე-10 ტირაჟის ბილეთების მიღებასთან ერთად, არაუგვიანეს 1988 წლის 3 მარტისა.

„ბვ" ნაწილების მიღებისა და „სპორტლოტოს" ყუთებში ჩაშვების საბოლოო ვადები მითითებული იქნება სპორტული ლატარიების ბილეთების მიმღებ ყოველ პუნქტში და „სპორტლოტოს" ყუთებზე.

გაგაცნობთ სპეციალურ ტირაჟებში მონაწილე გუნდების თამაშების პროგრამებს:

### თბილისი „დინამოს" თამაშები

| | | |
|---|---|---|
| 1. | „დინამო" (თბ.) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 7 მარტი |
| 2. | „დინამო" (თბ.) — „დინამო" (მინსკი) | 11 მარტი |
| 3. | „ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბ.) | 19 მარტი |
| 4. | „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბ.) | 28 მარტი |
| 5. | „დინამო" (თბ.) — „დინამო" (მოსკოვი) | 10 აპრილი |
| 6. | „ნეფთჩი" (ბაქო) — „დინამო" (თბ.) | 24 აპრილი |
| 7. | „დინამო" (თბ.) — „არარატი" (ერევანი) | 18 აპრილი |
| 8. | „დინამო" (თბ.) — „შახტიორი" (დონეცკი) | 30 აპრილი |
| 9. | „დინამო" (თბ.) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 4 მაისი |
| 10. | „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბ.) | 13 მაისი |
| 11. | „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (თბ.) | 27 მაისი |
| 12 | „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბ.) | 7 ივლისი |
| 13. | „დინამო" (თბ.) — „მეტალისტი" (ხარკოვი) | 26 ივნისი |

### მოსკოვის „სპარტაკის" თამაშები

| | | |
|---|---|---|
| 1. | „სპარტაკი" — „ქაირათი" (ალმა-ათა) | 9 მარტი |
| 2. | „სპარტაკი" — „ტორპედო" (მოსკოვი) | 13 მარტი |
| 3. | „მეტალისტი" (ხარკოვი) — „სპარტაკი" | 19 მარტი |
| 4. | „დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" | 27 მარტი |
| 5. | „სპარტაკი" — „შახტიორი" (დონეცკი) | 9 აპრილი |
| 6. | „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „სპარტაკი" | 17 აპრილი |
| 7. | „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „სპარტაკი" | 21 აპრილი |
| 8. | „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" | 4 ივლისი |
| 9. | „ნეფთჩი" (ბაქო) — „სპარტაკი" | 4 მაისი |
| 10. | „სპარტაკი" — „დინამო" (თბილისი) | 13 მაისი |
| 11. | „სპარტაკი" — „არარატი" (ერევანი) | 27 მაისი |
| 12. | „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „სპარტაკი" | 17 ივლისი |
| 13. | „სპარტაკი" — „დინამო" (მინსკი) | 9 ივლისი |

### ტაშკენტის „ფახთაქორის" თამაშები

| | | |
|---|---|---|
| 1. | „ფახთაქორი" — „როტორი" (ვოლგოგრადი) | 7 აპრილი |
| 2. | „ფახთაქორი" — ასკ (როსტოვი) | 10 აპრილი |
| 3. | „ზვეზდა" (პერმი) — „ფახთაქორი" | 16 აპრილი |
| 4. | „გეოლოგი" (ტიუმენი) — „ფახთაქორი" | 19 აპრილი |
| 5. | „ფახთაქორი" — ცსკა | 25 აპრილი |
| 6. | „ფახთაქორი" — „კუზბასი" (კემეროვო) | 28 აპრილი |
| 7. | „დინამო" (სტავროპოლი) — „ფახთაქორი" | 6 მაისი |
| 8. | „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ფახთაქორი" | 9 მაისი |
| 9. | „ფახთაქორი" — „შინიკი" (იაროსლავლი) | 15 მაისი |
| 10. | „ფახთაქორი" — „ტავრია" (სიმფეროპოლი) | 18 მაისი |
| 11. | „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „ფახთაქორი" | 26 მაისი |
| 12. | „როსტსელმაში" (როსტოვი) — „ფახთაქორი" | 29 მაისი |
| 13. | „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ფახთაქორი" | 16 ივნისი |

### როსტოვის „როსტსელმაშის" თამაშები

| | | |
|---|---|---|
| 1. | „როსტსელმაში" — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 7 აპრილი |
| 2. | „როსტსელმაში" — „დინამო" (სტავროპოლი) | 10 აპრილი |
| 3. | „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „როსტსელმაში" | 16 აპრილი |
| 4. | „შინიკი" (იაროსლავლი) — „როსტსელმაში" | 19 აპრილი |
| 5. | „როსტსელმაში" — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 25 აპრილი |
| 6. | „როსტსელმაში" — „გურია" (ლანჩხუთი) | 6 მაისი |
| 7. | „როსტსელმაში" — „დინამო" (ბათუმი) | 9 მაისი |
| 8. | „კოლოსი" (ნიკოპოლი) — „როსტსელმაში" | 15 მაისი |
| 9. | „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „როსტსელმაში" | 18 მაისი |
| 10. | „როსტსელმაში" — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 29 მაისი |
| 11. | „კოტაიკი" (აბოვიანი) — „როსტსელმაში" | 8 ივნისი |
| 12. | „კუბანი" (კრასნოდარი) — „როსტსელმაში" | 11 ივნისი |
| 13. | „როტორი" (ვოლგოგრადი) — „როსტელმაში" | 27 ივნისი |

### ალმა-ათის „ქაირათის" თამაშები

| | | |
|---|---|---|
| 1. | „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ქაირათი" | 9 მარტი |
| 2. | „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ქაირათი" | 12 მარტი |
| 3. | „ქაირათი" — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 19 მარტი |
| 4. | „ქაირათი" — „შახტიორი" (დონეცკი) | 27 მარტი |
| 5. | „ქაირათი" — „ტორპედო" (მოსკოვი) | 9 აპრილი |
| 6. | „ქაირათი" — „დინამო" (კიევი) | 17 აპრილი |
| 7. | „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ქაირათი" | 21 აპრილი |
| 8. | „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ქაირათი" | 4 მაისი |
| 9. | „ზენიტი" (ლენინგრადი) — „ქაირათი" | 30 აპრილი |
| 10. | „ქაირათი" — „დინამო" (მინსკი) | 27 მაისი |
| 11. | „ქაირათი" — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 14 მაისი |
| 12. | „არარატი" (ერევანი) — „ქაირათი" | 26 ივნისი |
| 13. | „ქაირათი" — „დინამო" (თბილისი) | 12 ივლისი |

### დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" თამაშები

| | | |
|---|---|---|
| 1. | „დნეპრი" — „დინამო" (კიევი) | 8 მარტი |
| 2. | „დნეპრი" — „მეტალისტი" (ხარკოვი) | 12 მარტი |
| 3. | „ქაირათი" (ალმა-ათა) — „დნეპრი" | 19 მარტი |
| 4. | „ტორპედო" (მოსკოვი) — „დნეპრი" | 27 მარტი |
| 5. | „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დნეპრი" | 9 აპრილი |
| 6. | „დნეპრი" — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 17 აპრილი |
| 7. | „შახტიორი" (დონეცკი) — „დნეპრი" | 21 აპრილი |
| 8. | „არარატი" (ერევანი) — „დნეპრი" | 30 აპრილი |
| 9. | „დინამო" (თბილისი) — „დნეპრი" | 4 მაისი |
| 10. | „დნეპრი" — „დინამო" (მოსკოვი) | 27 მაისი |
| 11. | „დნეპრი" — „ნეფთჩი" (ბაქო) | 14 მაისი |
| 12. | „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „დნეპრი" | 26 ივნისი |
| 13. | „დინამო" (მინსკი) — „დნეპრი" | 30 ივნისი |

### კიევის „დინამოს" თამაშები

| | | |
|---|---|---|
| 1. | „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო" (კ.) | 8 მარტი |
| 2 | „შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (კ.) | 12 მარტი |
| 3. | „დინამო" (კ.) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 19 მარტი |
| 4. | დინამო" (კ.) — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 27 მარტი |
| 5. | „დინამო" (კ.) — „მეტალისტი" (ხარკოვი) | 9 აპრილი |
| 6. | „ქაირათი" (ალმა-ათა) — „დინამო" (კ.) | 17 აპრილი |
| 7. | „დინამო" (კ.) — „ტორპედო" (მოსკოვი) | 21 აპრილი |
| 8. | „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „დინამო" (კ.) | 4 მაისი |
| 9. | „დინამო" (მინსკი) — „დინამო" (კ.) | 18 მაისი |
| 10. | „დინამო" (კ.) — „ზენიტი" (ლენინგრადი) | 14 მაისი |
| 11. | „დინამო" (კ.) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 27 მაისი |
| 12. | „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კ.) | 12 ივლისი |
| 13. | „დინამო" (კ.) — „არარატი" (ერევანი) | 8 ივლისი |

გიწვევთ ლატარია „სპორტპროგნოზის" სპეციალურ ტირაჟებში მონაწილეობის მისაღებად! ამით თქვენ კიდევ ერთხელ დაამტკიცებთ ერთგულებას საყვარელი გუნდისადმი. გისურვებთ წარმატებას!

**შენიშვნა:** ლატარია „სპორტპროგნოზის" სპეციალური ტირაჟების პროგრამები, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" 8 იანვრის ნომერში შემდგომში დაზუსტდა და შესწორებული სახით დაიბეჭდა იმავე გაზეთის 16 იანვრის ნომერში.

ბილეთების შევსებისას უნდა იხელმძღვანელოთ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" 16 იანვრის ნომრით!

**„საქსპორტლოტო"**

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 05114